

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი



იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 180 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია



პროგრამა და თეზისები

27 ოქტომბერი
2020 წელი

კოორდინატორი: ასისტენტ-პროფესორი ლევან ბებურიშვილი

რეგლამენტი:

მოხსენება სხდომაზე – 15 წუთი

მსჯელობა – 5 წუთი

სამშაბათი, 27 ოქტომბერი

11⁰⁰-13³⁰

კონფერენციის გახსნა

<https://zoom.us/j/92297283252>

კოდი: 640688

შესავალი სიტყვა - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი,
პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი

I სხდომა

სხდომის თავმჯდომარე - ასოცირებული პროფესორი ლადო მინაშვილი

ქეთევან ჭკუასელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იაკობ გოგებაშვილის დიდაქტიკა და თანამედროვეობა

ლადო მინაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იაკობ გოგებაშვილი როგორც საბავშვო მწერალი (მოთხრობა "იავნანამ რა ქმნას?!"
მაგალითზე)

რუსუდან ნიშნიანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იაკობ გოგებაშვილი - ლიტერატურული პერსონაჟი (როსტომ ჩხეიძის ტექსტების „ის
სურნელი თოვლში“ და „ეკლიანი და პატარა გზა“ მიხედვით)

სალომე ოშიაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
„უვიცობის შემცირება“ – იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების ქვაკუთხედი

ია გრიგალაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იაკობ გოგებაშვილი ქართული მუსიკალური ფოლკლორის პოპულარიზაციის შესახებ

მაგდა ჭიქაბერიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
იაკობ გოგებაშვილი სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებებში

II სხდომა

14⁰⁰-16⁰⁰

<https://zoom.us/j/92297283252>

კოდი: 640688

სხდომის თავმჯდომარე - ასოცირებული პროფესორი ეკა ვარდოშვილი

ეკა ვარდოშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იაკობ გოგებაშვილი არტურ ლაისტის წერილებსა და მოგონებებში

ნანი გელოვანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის აზერბაიჯანული განყოფილება (საარქივო დოკუმენტების მიხედვით)

საბა მეტრეველი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ 22-ე გამოცემის მთავარი სირთულე

ნინო ჭოლაძე

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იაკობ გოგებაშვილის დამოკიდებულება არაქართულენოვანი მოსახლეობის მიმართ

ნინო მამარდაშვილი

წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
პეტრე უმიკაშვილი და მისი წერილი „მცირე ტომთა ენებზე“

გიორგი ჯღარკავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გენდერული თანასწორობა როგორც მულტიკულტურული განათლების მნიშვნელოვანი ფაქტორი – ანდაზები იაკობ გოგებაშვილის „დედაენაში“

III სხდომა

14⁰⁰-16⁰⁰

<https://zoom.us/j/3203002955?pwd=NldWQnlQUmRBQ0hRbWdERVN3VitLdz09>

Meeting ID: 320 300 2955

Passcode: 12345

სხდომის თავმჯდომარე - ასისტენტ-პროფესორი **ლევან ბებურიშვილი**

ნინო ვახანია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ალექსანდრე ორბელიანის „თელავი“ - მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ნიმუში

ხათუნა კალანდარიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საეკლესიო ენის მნიშვნელობის საკითხი აკაკი წერეთლის მოთხოვნაში „ყვითელი სანთელი“

ლევან ბებურიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იაკობ გოგებაშვილი, როგორც XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის კრიტიკოსი

ივანე მჭედელაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული ლიტერატურა თანამედროვე უკრაინულ კომპარატივისტიკაში: ლუდმილა გრიციკის ქართველოლოგიური კვლევების შესახებ

ნინო ნასყიდაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვასილ მახნოს ლექსის „თბილისში“ კომპოზიციური ანალიზი

თეა სუმბაძე

წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია სიმონ ჩიქოვანის რეცეფციით

IV სხდომა

16³⁰-18³⁰

<https://zoom.us/j/92297283252>

კოდი: 640688

სხდომის თავმჯდომარე - ასოცირებული პროფესორი თამარ შარაბიძე

თამარ შარაბიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკაკის პუბლიცისტური სატირის ზოგიერთი ნიმუშის ანალიზი

ინგა სანიკიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
XIX საუკუნის ქართული ლექსიკოგრაფია კოტე ყიფიანის ნაშრომთა მაგალითზე

სოფიო ჩხატარაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იაკობ გოგებაშვილი უკრაინულ კულტურულ კონტექსტში

გია არგანაშვილი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
იაკობ გოგებაშვილის ერთი „შინაური მიმოხილვის“ გამო

ნესტან ღამბაშიძე

წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
ლიბერალური იდეოლოგიის წარმოშობა და ქალთა ემანსიპაციის საკითხი
XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში

თეზისები

იაკობ გოგებაშვილის ერთი „შინაური მიმოხილვის“ გამო

გამოჩენილი პედაგოგ-კლასიკოსის, საზოგადო მოღვაწის, განმანათლებლის, პუბლიცისტის და საბავშვო მწერლის, იაკობ გოგებაშვილის, სახელს არაფერი დაჰკლებია უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში. ქვეყნის დამოუკიდებლობის პირობებში მისი ღვაწლი ისევე დაფასებულია, როგორც საუკუნე-ნახევრის წინ, როდესაც მან თავის შეუცვლელი სახელმძღვანელო „დედა ენა“ გამოსცა და ამით განათლების ეროვნულ სისტემას ჩაუყარა საფუძველი.

თუმცა მისი ლიტერატურულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობა (ათტომეული) უფრო მეტად გამოყენების საშუალებასაც იძლევა. მის მიერ დამუშავებული მრავალი თემა დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას და იმსახურებს, რომ თანამედროვე მოსწავლის აღზრდის საქმეში იყოს ჩართული.

დღეს კი ამის საჭიროება ნამდვილად არსებობს, რადგან სოციალურ ქსელებში, არცთუ იშვიათად, ვაწყდებით იმ წინააღმდეგობას, რომელიც მოზარდში მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბების საქმეში არსებობს.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბება იდენტობის შენარჩუნების, სახელმწიფოს დამოუკიდებლობის და მისი ძლიერების საფუძველია, ხოლო მისი ფორმირება განვითარებულ ქვეყნებში განათლების სისტემის პრიორიტეტად არის მიჩნეული.

თუმცა მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პატრიოტიზმი, მამულიშვილობა (ეს სიტყვა ნურავის შეაკრთობს) თავისთავად არ ყალიბდება. „საუბედუროდ, ბუნება პატრიოტიზმზე სრულიად არ ზრუნავს. იგი ჰბადებს ქვეყანაზე არა საზოგადოებას, არამედ ინდივიდუმს, ცალკე პირს და არსებობის დაცვისათვის მას ანიჭებს ეგოიზმის, თავის-თავის მოყვარეობას“.

ეს სიტყვები იაკობ გოგებაშვილს ეკუთვნის. მისი სტატია „მამულიშვილობას აღზრდა ესაჭიროება“ ჟურნალ „ივერიაში“ „შინაურ მიმოხილვის“ ფორმატში დაიბეჭდა და დღესაც ინარჩუნებს თავის აქტუალობას.

ჩვენი აზრით, ეს წერილი გვერდით დაუდგება დიდი ჰუმანისტის, ვაჟა-ფშაველას, სტატიას „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოზმი“ და მასთან ერთად ღირსეულ ადგილს დაიკავებს მოზარდი თაობის აღზრდაში, მისი მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებაში.

ჩემს მოხსენებაში შევეცდები უფრო ვრცლად ვისაუბრო წერილში წამოჭრილ სხვადასხვა საკითხზე. მოვძებნო პასუხები კითხვებზე, რომლები ჩვენმა დრომ გააჩინა განათლების სისტემის წინაშე.

ვფიქრობ, ეს ეს ხელს შეუწყობს იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობის პოპულარობას. სწავლის ყოველდღიურ პროცესში ჩართვა სრულიად ახალ სიცოცხლეს მიანიჭებს მის ინტელექტუალურ ნააზრევს. ის ამას იმსახურებს...

იაკობ გოგებაშვილი, როგორც XIX საუკუნის
ქართული ლიტერატურის კრიტიკოსი

იაკობ გოგებაშვილს, გარდა მხატვრული და პედაგოგიკური ხასიათის თხზულებებისა, ეკუთვნის ძალზე საინტერესო და, რიგ შემთხვევაში, სახელმძღვანელო მნიშვნელობის მქონე კრიტიკული დაკვირვებები XIX საუკუნის ქართულ კლასიკურ მწერლობაზე.

იაკობის, როგორც კრიტიკოსის, ინტერესის სფეროში მოქცეულია ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის, რაფიელ ერისთავის, ეკატერინე გაბაშვილის მხატვრული შემოქმედება. თავის კრიტიკულ პუბლიკაციებში იაკობი გვევლინება როგორც პირუთვნელი შემფასებელი და ანალიტიკოსი, რომელსაც ძალუძს ნათლად გამოკვეთოს ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების ძირითადი თავისებურებები, მხატვრული ღირსებები და, ამასთანავე, საჭიროების შემთხვევაში, ძალზე დელიკატურად მიუთითოს ნაკლოვანებებზეც.

იაკობის, როგორც დიდი პედაგოგისათვის, ნაწარმოების შეფასებისას წარმართველი თხზულების პედაგოგიკური, დიდაქტიკური ღირებულებაა. უმთავრესად ამ თვალსაზრისით აფასებს გოგებაშვილი ნაწარმოების ავ-კარგს. იაკობი განსაკუთრებით მაღლა აყენებს ახალი ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა იმ ნაწარმოებებს, რომელთაც, მისი აზრით, შეუძლიათ მკითხველზე დიდი ზნეობრივ-ემოციური ზემოქმედების მოხდენა, მისი ესთეტიკური და ეთიკური აღზრდა.

სწორედ პედაგოგიკური ღირებულების კრილში განიხილავს იაკობ გოგებაშვილი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას. მიუხედავად იმისა, რომ იაკობის მსჯელობა ილიას ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე მომეტებულად მაინც ზოგადი ხასიათისაა, მასში სრულყოფილად, მთელი სისავსითაა შეფასებული ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის არსი და მნიშვნელობა ქართველი ხალხისათვის.

გამოჩეულია იაკობ გოგებაშვილის დამოკიდებულება აკაკი წერეთლის ლიტერატურული მემკვიდრეობის მიმართ. იაკობის შეფასებით, აკაკი არის ქართული პოეტური სიტყვის დიდოსტატი, „იალბუზი ქართული პოეზიისა“. იაკობი, როგორც მეტად მახვილი თვალის მქონე კრიტიკოსი, მიუთითებს აკაკი წერეთლის შემოქმედების ერთ უძირითადეს თავისებურებაზე, რომელიც შემდგომში ლიტერატურათმცოდნეთა საგანგებო კვლევის ობიექტად იქცევა. იაკობი აღნიშნავს, რომ აკაკი წერეთლის პოეზიის მხატვრული სიცხადის, ფორმოებრივი სისადავის მიღმა საკმაოდ რთული მხატვრული სტრუქტურა, ღრმა შინაარსი იმალება.

არანაკლებ საინტერესოა იაკობ გოგებაშვილის დაკვირვებები ალექსანდრე ყაზბეგის, ეკატერინე გაბაშვილისა და ვაჟა-ფშაველას მხატვრული შემოქმედების შესახებ.

ნანი გელოვანი

ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის აზერბაიჯანული განყოფილება (საარქივო დოკუმენტების მიხედვით)

1876 წლის 12 სექტემბერს ქ. გორში გაიხსნა ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარია, რომლის მიზანს წარმოადგენდა მასწავლებელთა მომზადება ამიერკავკასიის დაწყებითი სკოლებისათვის და ამიტომ მას „ამიერკავკასიის საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარია“ ეწოდებოდა.

კავკასიის მეფისნაცვლის 1879 წლის 1 სექტემბრის განკარგულებით, გორის სამასწავლებლო სემინარიასთან გაიხსნა თათრული/აზერბაიჯანული განყოფილება. სემინარიაში სწავლის ვადა განისაზღვრა სამი წლით. 1880 წელს სემინარიასთან გაიხსნა ქართული, სომხური და თათრული/აზერბაიჯანული დაწყებითი სასწავლებლები ხაზინის ხარჯზე, სადაც სემინარიის მოსწავლეები გადიოდნენ პედაგოგიურ პრაქტიკას. ამ ფაქტს ეძღვნება იაკობ გოგებაშვილის წერილი „უცნაური ცვლილება გორის სამასწავლებლო სემინარიაში“.

1918 წელს სემინარიის აზერბაიჯანული განყოფილება გადატანილ იქნა ქ. ყაზახში (აზერბაიჯანი), სადაც სამასწავლებლო სემინარია ფუნქციონირებდა 1958 წლამდე.

გორის სამასწავლებლო სემინარიის აზერბაიჯანულმა განყოფილებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აზერბაიჯანელი ინტელიგენციის მთელი პლეადის აღზრდაში, რასაც მოჰყვა კულტურული აღმავლობა XX ს-ის დასაწყისში. 1879-1918 წლებში სემინარიაში განათლება მიიღო დაახლ. 250-მა აზერბაიჯანელმა, რომელთაგან დიდმა ნაწილმა ნათელი კვალი დატოვა აზერბაიჯანის კულტურის, ხელოვნების და მეცნიერების ისტორიაში.

მოხსენებაში განხილული და გაანალიზებულია საქართველოს საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცული ცნობები ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის აზერბაიჯანული განყოფილების (დაწყებითი სასწავლებლითა და პანსიონით) შესახებ, იქ მოღვაწე პედაგოგებსა და მოსწავლეებზე, კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე, საშტატო განრიგზე და ხარჯთაღრიცხვაზე, სასწავლო გეგმაზე, სახელმძღვანელოებზე, სასწავლო ინვენტარით უზრუნველყოფაზე, სასწავლებლის რეფორმირებისა და მატერიალური ბაზის შექმნის სირთულეებზე და სხვ. საარქივო დოკუმენტების დიდი ნაწილი გამოუქვეყნებელი და, შესაბამისად, შეუსწავლელია.

ია გრიგალაშვილი

იაკობ გოგებაშვილი ქართული მუსიკალური ფოლკლორის პოპულარიზაციის შესახებ

იაკობ გოგებაშვილი პუბლიცისტურ ნაწერებში, პედაგოგიკის საკითხებზე მსჯელობისას ხაზგასმით წარმოაჩენს ქართული ფოლკლორის მნიშვნელობას ქართული კულტურის ისტორიასა და ქართველი ერის ცხოვრებაში. „დედაენაში“ არაერთი ქართული ხალხური ლექსი, ანდაზა შევიდა მისი რედაქტირებით, რადგან ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელს

სრულიად ჰქონდა გათვალისწინებული, რომ ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების მარგალიტები დიდაქტიკური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებს მოზარდის სულიერ-ზნეობრივ ფორმირებაში.

დიდმა საზოგადო მოღვაწემ, იაკობ გოგებაშვილმა, 1882 წელს პეტრე უმიკაშვილთან ერთად შეადგინა „პროგრამა ხალხის სიტყვიერების ნაწარმოების შეკრებისათვის“, რომელშიც, პირველად ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიაში მოცემულია ფოლკლორული მასალის ჩაწერის მეთოდები.

1907 წელს მოსკოვში ქართული სამუსიკო და ლიტერატურული სადამო გაიმართა, სადაც ორას სამოც კაციანმა გუნდმა, კონსერვატორიის სტუდენტ კონსტანტინე ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით, შეასრულა ქართული ხალხური სიმღერები. მათი ნამღერით დამსწრე საზოგადოება აღტაცებაში მოსულა. იაკობ გოგებაშვილი ნიჭიერი, ღარიბი სტუდენტის დაფინანსებას გადაუდებელ საქმედ მიიჩნევს და წერილში - „ქართულის სიმღერის ხოროს შესახებ“ - გამოთქვამს მნიშვნელოვან თვალსაზრისს ქართული მუსიკალური ფოლკლორის ესთეტიკურ ღირებულებასა და მისი პოპულარიზაციის აუცილებლობაზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე - უცხოეთშიც. მისი თქმით, ნაციონალურ, ეროვნულ ხოროს განსაკუთრებით აფასებენ ერები, რომლებიც ქართველებივით მორჩილების უღელქვეშ კვნესოდნენ. ასეთები არიან: ჩეხები, პოლონელები, ირლანდიელები და სხვა.

იაკობ გოგებაშვილს მეტი არგუმენტირებისათვის მსოფლიო მუსიკის მცოდნე, მუსიკოლოგ მიროპოლსკის სიტყვებს იმოწმებს და აღნიშნავს, რომ მკვლევარი აღფრთოვანებული დარჩენილა ქართული ხალხური სიმღერების მრავალფეროვნებით. ქართველ ხალხს ყველა საქმისთვის, ყველა სამუშაოსთვის თუ გასართობისათვის სათანადო ჰარმონიული ჰანგი შეუქმნია. ამ ჰანგს მღერის არა ერთი მომღერალი როგორც აზიაში, არამედ - მთელი გუნდი, როგორც ევროპაში.

იაკობ გოგებაშვილის მოწოდება ქართული მუსიკალური ფოლკლორისა და საეკლესიო გალობის შესწავლის, შესრულებისა და პოპულარიზაციის აუცილებლობის შესახებ თანამედროვე საქართველოსათვის, რომელიც ურთულესი გამოწვევების წინაშეა, უაღრესად აქტუალურია. ქართული ეთნიკური მუსიკის ღირსშესანიშნავი ნიმუშების მეცნიერული კვლევა, უმაღლეს სასწავლებლებში საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლების სამივე საფეხურზე შესწავლა, სხვადასხვა ტექნიკურ-მუსიკალური საშუალებით მათი უფრო მეტად გაცნობა მსოფლიოსათვის, ქვეყნის კულტურულ, პოზიტიური მხარეს უკეთ წარმოაჩენს საერთაშორისო ასპარეზზე, რაც უდავოდ საშური, ეროვნული საქმეა.

ეკა ვარდოშვილი

იაკობ გოგებაშვილი არტურ ლაისტის წერილებსა და მოგონებებში

XIX საუკუნეში ქართული კულტურის პოპულარიზაციასა და მეცნიერულ შესწავლაში ევროპის ქვეყნებში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს მარი ბროსემ, არტურ ლაისტმა, მარჯორი და ოლივერ უორდროპებმა.

საქართველოსა თუ უცხოეთში გამოცემულ შრომებში ა. ლაისტი ხშირად საუბრობს XIX საუკუნის ქართველ კლასიკოსთა შესახებ. ა. ლაისტის შეფასებები დღესაც არ კარგავენ აქტუალობას და გამოირჩევიან ორიგინალურობით. ამასთანავე, იგი ზუსტად აღწერს

საქართველოში შექმნილ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას და საზოგადოებრივი ცხოვრების დეტალებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ა. ლაისტის „საქართველოს გული“, რომლის შესახებაც 1927 წელს თ. სახოკია წერდა: „არტურ ლაისტმა დაგვიტოვა მეტად საინტერესო წიგნი „საქართველოს გული“, რომელშიც ავტორმა ჩააქსოვა თავისი საკუთარი და გულწრფელი სიყვარულის გრძნობა. ეს არის კრებული მისთა მოგონებათა საქართველოსა და ქართველების, ქართველთა მწერლებისა და მწერლობის შესახებ. მთელი წიგნი მკითხველზე სტოვებს შთაბეჭდილებას შეყვარებულთა მიწერ-მოწერისას. ვაჟი - არტურ ლაისტია, ხოლო ქალი - საქართველოა“ (თ. სახოკია).

წიგნში არტურ ლაისტი მოგვითხრობს იაკობ გოგებაშვილის შესახებაც. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მისი ისეთი წერილები და მოგონებები, როგორებიცაა: „ილიას მახლობლები“, „ივერიის რედაქციაში“, „კვლავ ერთი დღე სოფელში“, „ივერიის გაზეთად გამოშვება“, „XIX საუკუნის ქართველები“, „საბავშვო ლიტერატურა“ და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ა. ლაისტი ი. გოგებაშვილს ხშირად ნ. ცხვედაძის გვერდით მოიხსენიებს, საუბრობს მათ პიროვნულ თვისებებსა და საზოგადოებრივ ღვაწლზე.

განსაკუთრებით საინტერესოა ა. ლაისტის წერილი „XIX საუკუნის ქართველები“, სადაც ავტორი აღნიშნავს რომ XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებაში თანდათან გამოჩნდნენ ის პიროვნებები, რომელთა მიზანი იყო შეექმნათ ახალი დროის ქართული კულტურა. „ისინი პირველად მასწავლებლები და მწერლები იყვნენ. ილიასთან და აკაკისთან თითქმის ერთდროულად იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვედაძე გამოჩნდნენ. მთელი მათი მოღვაწეობა ქართული სკოლისკენ და ქართული ენის შენარჩუნებისკენ იყო მიმართული. გოგებაშვილი და ცხვედაძე არიან ახალი დროის ქართველი მასწავლებლების მამამთავრები“ (ა. ლაისტი).

მნიშვნელოვანია ისიც, რომ გოგებაშვილი თავისი ნააზრევით ხშირად ეხმიანება ილიას შეხედულებებს, განსაკუთრებით ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორიცაა ენის, მამულისა და სარწმუნოების დაცვა. ამ მხრივ, საინტერესოა მისი წერილი: „პრესა ჩვენში და სხვა პატარა ერებში.“

წერილში „საბავშვო ლიტერატურა“ ა. ლაისტი ერთგვარად აჯამებს ი. გოგებაშვილის მოღვაწეობას და ამბობს: „ზოგიერთი წიგნი, როგორიც არის „დედაენა“ და „ბუნების კარი“ იაკობ გოგებაშვილისა, გამოირჩევა მაღალი ხარისხითა და ცოცხალი გადმოცემებით. მშობლიურ პედაგოგიკას ამ მწერალმა თავისი მრავალრიცხოვანი შრომებით დიდი ღვაწლი დასდო“ (ა. ლაისტი).

ნინო ვახანია

ალექსანდრე ორბელიანის „თელავი“ - მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ნიმუში

XIX საუკუნის რომანტიკოსი მწერალი, ალექსანდრე ორბელიანი მრავალმხრივ საყურადღებო შემოქმედია. მის სახელს უკავშირდება ჩვენს მწერლობაში რამდენიმე სიახლის დამკვიდრება. იგი გახლავთ მხატვრულ-დოკუმენტური პროზის სულხან-საბა ორბელიანისეული ტრადიციების გამგრძელებელი და თანამედროვეთათვისა და მომავალი თაობებისთვის ბიძგის მიმცემი ამ ჟანრის თხზულებების დასაწერად. 60-იანელები, უფროსი

თანამოკალმის ნაწერებითა და ზეპირი ნაამბობებით მოხიზლულნი, მთლად თარგად და ნიმუშად თუ არ იყენებდნენ ალექსანდრე ორბელიანის თხზულებებს, ბევრ სიახლეს იგებდნენ და ითავისებდნენ მისგან.

„თელავი“, ერთ-ერთი უაღრესად საყურადღებო ნაწარმოები, ცალკე წიგნად დასტამბა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ 1997 წელს (გამოსაცემად მოამზადა და ბოლოსიტყვაობა დაურთო გიორგი ჯავახიშვილმა). თემატიკა მრავალფეროვანია. ავტორი ყურადღებას აქცევს ქალაქის გეოგრაფიულ მდებარეობას; გვესაუბრება შენობა-ნაგებობების, კერძოდ, გალავნების შესახებ; გვაწვდის ისტორიულ ცნობებს; წარსულს აცოცხლებს ნაცნობთა და ახლობელთა გადმოცემებზე დაყრდნობით; გვევლინება ბუნების მხატვრად; ვხვდებით ფილოსოფიურ განსჯას ადამიანის ამქვეყნიური დანიშნულებისა და ბედის შესახებ; გულმხურვალედ ქადაგებს საქართველოს ევროპეიზაციას (ევროპულ ცეკვებზე დაკვირვება და ღვინოების ევროპულად დამზადებისა და გაყიდვის პროპაგანდა); ხელშესახებია აპოლოგეტური დამოკიდებულება ქართველი ქალისადმი; ვეცნობით ქართული სუფრის ძველ წესს; აღწერილია სპორტული შეჯიბრებები ძველ საქართველოში; საგულისხმო ცნობებია დაცული ერეკლე მეორისა და დარეჯან დედოფლის შესახებ.

ალექსანდრე ორბელიანი მომხრეა ტრადიციულისა და ახლის შერწყმა-შეერთებისა. ევროპიდან, უპირველესად, სწავლა-განათლების შემოტანის აუცილებლობას ხედავს და ქადაგებს მწერალი.

გარდა შინაარსისა, თხზულება საინტერესოა კომპოზიციურადაც და ენობრივი თვალსაზრისითაც. აქ ერთმანეთს ენაცვლება პირადად ნანახი და განცდილი და სხვათა ნაამბობის მიხედვით შეთვისებული და გაცოცხლებული წარსული. დაწერილია სადა, ხალხური, ყველასთვის გასაგები ენით. სამეცნიერო ლიტერატურაში უფრო ხშირად ნარკვევად მოხსენიებული ეს ნაწარმოები მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებითაც გამორჩეულია. ალექსანდრე ორბელიანის შემოქმედებაში ვპოულობთ იმ საყოველთაო-სახალხო ენისა და სტილის გამოყენების ნიმუშებს, რომლის მწერლობაში დამკვიდრება ქართველ სამოციანელთა და, უპირველესად, ილია ჭავჭავაძის სახელთანაა დაკავშირებული.

ხათუნა კალანდარიშვილი

საეკლესიო ენის მნიშვნელობის საკითხი აკაკი წერეთლის მოთხრობაში „ყვითელი სანთელი“

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებისათვის ქართული სინამდვილის ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა ეროვნული თვითგამორკვევის საკითხი იყო. აქედან გამომდინარე, ქართველი სამოციანელები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას, ქართულ ეკლესიას, რომელიც ისტორიულად აყალიბებდა ქართველების კულტურულ და ფსიქოლოგიურ იერსახეს, ქმნიდა მათ მსოფლმხედველობას და დანარჩენ სამყაროსთან მიმართების ფორმას განსაზღვრავდა.

ქართველ სამოციანელებს სახიფათოდ მიაჩნდათ მე-19 საუკუნის ქართველ საზოგადოებაში აშკარად გამოკვეთილი სარწმუნოებრივი გულგრილობის ტენდენცია.

აკაკი წერეთელი, ქართულ სინამდვილეში მიმდინარე ამ პროცესის შედეგების სერიოზულობაზე მსჯელობასთან ერთად, განიხილავს პრობლემის გამომწვევ მიზეზებსაც. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მოთხრობა „ყვითელი სანთელი“.

ამ ნაწარმოებში აკაკი წერეთელი ყურადღებას ამახვილებს ქართული საეკლესიო ენის ბედზე იმპერიული მმართველობის პირობებში; განიხილავს ეკლესიაში ქართული ენის აკრძალვის საკითხსა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

აკაკი ფიქრობს, რომ გარკვეულწილად ენის აკრძალვა გახდა ქართველებში რწმენის ჭეშმარიტ არსთან გაუცხოებისა და, საზოგადოდ, სარწმუნოებრივი გულგრილობის საფუძველი. ჯანსაღ ღირებულებებთან გამოთხოვებამ კი ადამიანის სულიერ სამყაროში კარდინალური ცვლილებები გამოიწვია, რამაც შეარყია ცხოვრების საუკუნეების განმავლობაში შესისხლხორცებული წესი, დაარღვია ქართველი კაცის ცნობიერება და, შესაბამისად, მისი ეროვნული სახეც შეცვალა.

აკაკი წერეთელი ასკვნის, რომ ეკლესიიდან მშობლიურ ენის გამოძევება ადვილად შესაძლებელია იქცეს ეროვნული დეგრადაციის დასაბამად.

ნინო მამარდაშვილი

პეტრე უმიკაშვილი და მისი წერილი „მცირე ტომთა ენებზე“

პეტრე უმიკაშვილის (1838-1904) მოღვაწეობა მრავალფეროვანია. მას ერთი კონკრეტული და ვიწროდ განსაზღვრული დარგი არ აურჩევია თავის ასპარეზად. მნიშვნელოვანია მისი წვლილი ხალხური სიტყვიერების ნიმუშთა შეკრებისა და გამოცემის საქმეში. იგი იყო მთარგმნელი, 1964 წელს შეადგინა პირველი იაფასიანი ანბანი და დაბეჭდა. შეაგროვა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები და „ცისკარში“ გამოაქვეყნა. 1866 წლიდან წერილებს აქვეყნებდა სხვადასხვა ფსევდონიმით („ანჩისხატელი“, „მ.პეტრიძე“, „პ.უ.“, „პ.“).

თავის ბიოგრაფიაში პ. უმიკაშვილი წერს: „ჩემი სურვილი იყო დავხმარებოდი მკითხველის აზროვნების გაღვიძებას, აღმედრა მასში ჭეშმარიტების სიყვარული, კაცობრიობისა და სამშობლოს სიყვარული, თვითმცნობელობა, თვითმოქმედება და საზოგადოდ მოქმედება, ქვეყნისა და ერის წამატებისათვის“. მისი რედაქტორობით დაიბეჭდა ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებები. პეტრე უმიკაშვილის მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია სახალხო წიგნაკების შედგენა, რაც ხელს უწყობდა მდაბიო ხალხში წერა-კითხვის შესწავლას (ეს წიგნაკებია: ბეჟანიანი, ქალ-ვაჟიანი, ვარდ-ბუმბულიანი, ალექსიანი, არსენას ლექსი და სხვა).

40 წლის განმავლობაში პ. უმიკაშვილი მუშაობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. მას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში. იგი ეწეოდა პედაგოგიკურ მოღვაწეობას, ასწავლიდა ქართულ ენას გიმნაზიაში 25 წლის განმავლობაში.

მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში განსაკუთრებული სიმწვავით იდგა ენის როლისა და ფუნქციის საკითხი, აქტუალური იყო იმპერიის შემადგენლობაში შემავალი მცირერიცხოვანი ერების ენის ფუნქციისა და მნიშვნელობის შესახებ მსჯელობა. 1872 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „კავკაზის“ დამატებითი ბროშურა სათაურით „არსება ნაციონალურის ინდივიდუალობისა და დიდთა ხალხთა თვითოეულობის აღმზრდელობითი მნიშვნელობა“. ამ ბროშურას ეხმიანება პეტრე უმიკაშვილის წერილი „მცირე ტომთა ენებზე“. ბროშურაში

საუბარია, რომ პატარა ხალხების ენები უნდა გაუქმდეს და მათ ნაცვლად დამკვიდრდეს დიდ ერთა ენები. საკითხის ამგვარი დაყენება უცხო არ იყო იმ პერიოდის პრესაში. კერძოდ, „კავკაზში“ 1867 წელს წამოიწია საკითხი, რომ სრულიად უსარგებლო იყო ქართულ, სომხურ და თათრულ ენებზე სამეცნიერო და სასწავლო წიგნების გამოცემა, რომ სასურველი იყო ამ ენებზე მწერლობისა და ბეჭდვის მოსპობა. უმიკაშვილი მიიჩნევს, რომ ბროშურაში წარმოდგენილი მოსაზრებები მოკლებულია ფილოლოგიურ, ანთროპოლოგიურ და ფიზიოლოგიურ საფუძვლებს.

3. უმიკაშვილი იმპერიის შემადგენლობაში შემავალი მცირერიცხოვანი ერების ენების ფუნქციისა და მნიშვნელობის შესახებ მსჯელობას წარმართავს ევროპული და ამერიკული კონტექსტის გათვალისწინებით. პეტრე უმიკაშვილი იმოწმებს ავგუსტ შლაიხერის აზრს. მას მოჰყავს შვეიცარიის, ავსტრიის, ლათინურიდან იტალიური და ფრანგული ენების ჩამოყალიბების, ინგლისისა და ირლანდიის მაგალითები. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამერიკას, სადაც მასობრივად გადასახლებული ხალხის ენას შეუძლია გაძლება. ამერიკაში ამის შედეგად დამკვიდრდა ინგლისური ენა და მოხდა ენის ადაპტაცია ახალ გარემოში. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პუბლიცისტი კარლ ფოგტის აზრს: „სულელობა იქნებოდა ერთი ენა მრთელის კაცობრიობისთვისაო“. პეტრე უმიკაშვილის წერილი არის მწვავე კრიტიკა ბროშურაში წარმოდგენილი საკითხისა. ავტორის მსჯელობა არის თანმიმდევრული, არგუმენტირებული, გაჯერებული იმ პერიოდის მეცნიერების ნააზრევით. წერილის პათოსი არის მკაცრი და ირონიული: „აი რასა ჰქვია აზრების არე-დარევა და ანარხია! ვისაც ენების როლის განსაზღვრა უნდა, ჯერ უნდა კარგა დაფიქსირდეს აზრების ანარხიაზე, დამოკიდებულს ყოფაქცევის ანარხიაზე.“ პეტრე უმიკაშვილის მთელი მოღვაწეობა გაჯერებულია ეროვნული და საზოგადოებრივი ინტერესით.

საბა მეტრეველი

იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ 22-ე გამოცემის მთავარი სირთულე

„დედაენის“ 1907 წლის 22-ე გამოცემაზე მუშაობის პერიოდში იაკობ გოგებაშვილი დადგა არჩევის პირისპირ: სახელმძღვანელოს საკითხავ ნაწილში უნდა შეეტანა ან იოსებ ბაქრაძის „მე ქართველი ვარ“, ან დუტუ მეგრელის „პატარა ქართველი“. საბოლოოდ, „დედაენაში“ ეს უკანასკნელი შევიდა.

ჟურნალ „ნიშადურში“ დუტუ მეგრელმა დაბეჭდა „შენიშვნა“, რომელშიც გააპროტესტა ის, რომ „დედაენაში“ მისი ლექსი მოთავსებული იყო სხვა „ამერ-იმერ ქართველთა სიმღერებს“ შორის და, რომ გამოტოვებული იყო მესამე სტროფი. „შენიშვნას“ მაშინვე გამოეხმაურა იაკობ გოგებაშვილი. მისი განმარტებით, „დედაენის“ 22-ე გამოცემის გეოგრაფიულ ნაწილში დაიბეჭდა სამი ლექსი სამშობლოს სიყვარულის შესახებ, რომელთაგან ორი ხალხურია, ხოლო მესამე დუტუ მეგრელს ეკუთვნის: „არცერთს ამ ლექსთაგანს თავისი საკუთარი სათაური არა აქვს. ყველას წინ მიუძღვის საერთო სათაური „ამერ-იმერთა ქართველთა სიმღერები“. იაკობ გოგებაშვილი ასახელებს ორ მიზეზს, თუ რატომ დაარქვა სიმღერები:

1. ლექსები გამოთქმულნი არიან სიმღერის კილოზედ;
2. გვჩადა, მასწავლებლებისათვის ჩაგვეგონებინა, რომ ეს ლექსები, სავსე მხურვალე ეროვნული გრძნობით, არა მარტო წაეკითხებინა მოსწავლეთათვის, არამედ ზეპირად

დაესწავლებინა და ემღერებინათ, რათა უკეთესად გამსჭვალულიყვნენ შიგ დამარხული ეროვნული გრძნობით.

იაკობ გოგებაშვილი განმარტავს იმასაც, თუ რატომ ვერ მოხერხდა ავტორის მითითება, თუმცა პირობას იძლევა, რომ შემდეგ გამოცემებში ეს ლაფსუსი გასწორდება. ლექსის მესამე სტოფის ამოღებას კი ასე ასაბუთებს: „ჩვენი კალმოსანი საქართველოს ქვეყნის თვალად სთვლის და ეს კი გადაჭარბებული ქებაა. ამავე სტრიქონში საქართველოს იხსენებებს როგორც ღვთის-მშობლის წილ-ხდომილს ქვეყანას. ჩვენ კი „დედა ენაში“ უკანასკნელს სასულიერო განყოფილებამდი ქრისტიანული ელემენტი გამოტოვებული გვაქვს, რათა ქართველს სპარსელებს, კერძოთ, ქართველ მაჰმადიანებს საზოგადოდ და ქართველს ურიებს მივცეთ შეძლება, დაუბრკოლებლივ იხმარონ საერთო სახელმძღვანელო ქართულის ენისა“. გარდა ამისა, მითითებულია კიდევ ერთი შინაარსობრივი მიზეზი: რომ გამოტოვებულ სტროფში გამოხატული აზრი საქართველოს ბედის ცვალებადობის შესახებ უკეთესად არის გამოთქმული შემდეგ სტროფებში და ამიტომ, „ლექსი არაფერს ჰკარგავს ამ საჭირო გამოტოვებით“.

გაუგებრობა თუ კამათი ამით ამოიწურა და იაკობ გოგებაშვილის კონცეპტუალური გადაწყვეტილებით დამკვიდრდა „დედაენაში“ დუტუ მეგრელის „პატარა ქართველი“.

ლადო მინაშვილი

იაკობ გოგებაშვილი როგორც საბავშვო მწერალი (მოთხრობა "იავნანამ რა ქმნას?!" მაგალითზე)

იაკობ გოგებაშვილი იყო არა მარტო დიდი პედაგოგი, შესანიშნავი სახელმძღვანელოების ავტორი, არამედ საბავშვო მწერლობის ფუძემდებელი საქართველოში ჩვენში. მწერლობის ეს უბანი ჩვენში მეცნიერულ საფუძვლებს იაკობ გოგებაშვილმა დააყრდნო. საბავშვო მწერლობაზე საგანგებო ზრუნვა, მისი საფუძვლების დამუშავება საქართველოში სწორედ იაკობ გოგებაშვილის სახელს უკავშირდება. იაკობ გოგებაშვილის საბავშვო თხზულებათაგან განსაკუთრებული ზემოქმედებითი ძალით გამოირჩევა მოთხრობა "იავნანამ რა ქმნას?!", რომელიც თავისი ხასიათით ახლოსაა ისტორიულ მოთხრობებთან, რამდენადაც, ავტორისავე თქმით, გარკვეულ ისტორიულ დროს ეხება, მაგრამ ვერც სავსებით ისტორიულად ჩაითვლება, რადგან მასში არც გარკვეული ისტორიული ფაქტია ასახული და არც გარკვეული ისტორიული პირები მოქმედებენ.

ის მკვლევარები, ვინც ამ შედეგს განიხილავენ, საგანგებოდ ყურადღებას ამახვილებენ მოთხრობაში ასახული გრძნობების დამაჯერებლობაზე და ფსიქოლოგიურ სიზუსტეზე. ლიტერატურათმცოდნის ასპექტიდან, პირველ ყოვლისა მნიშვნელოვანია, თუ როგორ მიიღწევა ეს დამაჯერებლობა, რაც ასე იტაცებს და აღელვებს მოზარდს და არა მარტო მოზარდს. ერთი სიტყვით, როგორია მწერლისეული თხრობის ოსტატობა. ამ მხრივ საგანგებოდ ის უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადად მწერალი პერსონაჟთა განცდებს, მათი სულის მოძრაობის ჩვენებას გარე გამოვლენილი ნიშნებით გვაძლევს, იგი კი არ აღწერს თუ რას განიცდიან მისი გმირები, არამედ გვიჩვენებს მათ განცდებს მათი ქცევებით, მოქმედებებით, სახეზე აღბეჭდილი ნიშნებით. ხშირად მწერალი პერსონაჟთა სულიერი მდგომარეობის საჩვენებლად მიმართავს შედარების ხერხს. ამ შემთხვევაში შესადარებლად

შერჩეულია ისეთი საგნები და მოვლენები, რომლებიც ნაცნობია, ახლოსაა და გასაგებია მოზარდებისათვის. შედარება ხდება ვრცელი, გამ-ლილი აღწერების, გაჭიანურების გარეშე, რაც კარგად პასუხობს მოზარდის ინტერესს და თხრობის დინამიურობას აპირობებს. ამ მოთხრობაში ყველაზე თვალსაჩინოდ, მაღალმხატვრულად არის წარმოდგენილი ღრმა ადამიანურ გრძნობათა ფაქიზი ანალიზი. ეს შესანიშნავი მოთხრობა სწორედ იმისთვისაა მოწოდებული, რომ მოზარდებში მოამზადოს დიდი ხელოვნების განმცდელი ჭეშმარიტი მკითხველი.

ივანე მჭედელაძე

ქართული ლიტერატურა თანამედროვე უკრაინულ კომპარატივისტიკაში: ლუდმილა გრიციკის ქართველოლოგიური კვლევების შესახებ

ქართველოლოგიური კვლევების ისტორიას უკრაინულ მეცნიერებაში მდიდარი და საინტერესო ისტორია აქვს. ქართული მწერლობითა და კულტურით დაინტერესება მე-19 საუკუნიდან იწყება და უკავშირდება უკრაინულ მეცნიერებაში ორიენტალისტური კვლევების ჩამოყალიბებას. ამ პერიოდიდან მოყოლებული განვითარდა ქართულ-უკრაინული ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობების ისტორია, ისტორიული წინაპირობებისა და კულტურული კონტექსტების გაანალიზებისა და შესწავლის ტრადიცია.

ისტორიული და კულტურული ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა კულტურათაშორისი კომუნიკაციის პროცესზე. თანამედროვე სამყაროში, მოიცვა რა ცხოვრების ყველა სფერო გლობალიზაციამ და ინტეგრაციულმა პროცესებმა, კულტურათაშორისი დიალოგი კიდევ უფრო აქტუალური და მნიშვნელოვანი გახდა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირერიცხოვანი ერებისთვის, რომელთა კულტურული იდენტობის შენარჩუნება მათი არსებობის ერთ-ერთი წინაპირობაა. თანამედროვე ქართულ-უკრაინული ლიტერატურულ-კულტურული დიალოგის ამსახველი მასალები ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა.

უკრაინაში ქართველოლოგიური კვლევების ყველაზე აქტიური პერიოდი მეოცე საუკუნის მეორე ნახევარია, როდესაც ჩამოყალიბდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო ტრადიციები. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უკრაინელი ქართველოლოგის, პროფესორ **ლუდმილა გრიციკის**, მდიდარი და მრავალფეროვანი კვლევები. მისი ნაშრომები ერთ-ერთი მნიშვნელოვანია თანამედროვე უცხოურ ქართველოლოგიაში. მეტად შთამბეჭდავია მეცნიერის მიერ მიღებული მასალები ქართულ, უკრაინულ და ევროპის სხვადასხვა ქვეყნის არქივებში. ამ მასალებში ქართული მწერლობის რეცეფციის უცნობი და მეტად საინტერესო ფაქტებია ასახული.

ლუდმილა გრიციკის სამეცნიერო ინტერესების სფეროში შედის XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობები და ურთიერთმიმართებები. მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში მან დაიცვა ჯერ საკანდიდატო დისერტაცია „*ქართული მხატვრული პროზა თანამედროვე უკრაინულ თარგმანებში*“, მოგვიანებით სადოქტორო - *აღმოსავლეთის ქვეყნების (შუაზია, ამიერკავკასია) ლიტერატურები XX საუკუნის დასაწყისის უკრაინულ ლიტერატურულ პროცესებში*. თარგმნილი აქვს ქართული პროზა და პოეზია, ქართულ ხალხური ზღაპრები. ლ.

გრიციკის ქართველოლოგიური კვლევების თავისებურებებიდან ყურადღებას იპყრობს ლიტერატურათაშორისი კონტაქტების გაანალიზებაში ინტერდისციპლინური, ინოვაციური თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების დანერგვა.

უკრაინელი მკვლევარი თითქმის უკვე ნახევარი საუკუნის განმავლობაში მოპოვებულ მდიდარ და უნიკალურ ემპირიულ მასალას განიხილავს ტრადიციულ (კონტაქტოლოგია) და თანამედროვე (*ტიპოლოგია, იმაგოლოგია, ტრანსლატოლოგია, კულტურული ტრანსფერი, კოლონიური და პოსტკოლონიური კვლევები* და სხვ.) კომპარატივისტულ მეთოდოლოგიათა კონტექსტში.

მოხსენებაში განვიხილავ ცნობილი უკრაინელი მეცნიერის უნიკალურ ქართველოლოგიურ კვლევებს: როგორც ცალკეულ სტატიებს, ისე 2010 წელს გამოცემულ მის ფუნდამენტურ ნარკვევს *„უკრაინული კომპარატივისტიკა: კონცეპტუალური პროექციები“*. ამ მონოგრაფიის დიდი ნაწილი ქართული კულტურისა და მწერლობის კვლევას ეთმობა. უკრაინელი მეცნიერის თითქმის უკვე ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობა ღირსეულად დაფასდა ქართულ სამეცნიერო და აკადემიურ წრეებში – 2013 წელს მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება.

ნინო ნასყიდაშვილი

ვასილ მახნოს ლექსის „თბილისში“ კომპოზიციური ანალიზი

უკრაინული მწერლების ემიგრაციის პირველი ნაკადი ევროპასა და ამერიკაში XIX-XX საუკუნეებში განხორციელდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და განსხვავებული იყო ემიგრაციის მეორე ტალღა 1920-იანი წლებიდან, როდესაც ქვეყნის ფარგლებს გარეთ შეიქმნა უკრაინული დაჯგუფებები და ცნობილი პრადის სკოლა (იული ლიპა, ოლენა ტელიგა, ევგენი მალანოუკი და სხვები). ემიგრაციის მესამე ტალღას საფუძვლად დაედო მეორე მსოფლიო ომი, ხოლო უკრაინელი მწერლების მომდევნო გადინება საზღვარგარეთ უკრაინის მიერ დამოუკიდებლობის პერიოდის შემდეგ განხორციელდა და დღემდე გრძელდება.

უკრაინელი ემიგრანტი პოეტის, პროზაიკოსის, ესეისტის, მთარგმნელის ვასილ მახნოს პოეზია ქართულ ენაზე (ლექსი „მაფი“ და სხვ.) პირველად 2019 წელს თარგმნა პოეტმა და მთარგმნელმა შოთა იათაშვილმა.

ვასილ მახნოს პოეზიისთვის დამახასიათებელია ახალი სახეების მიება, ტრანსფორმაციები. მის ლექსებში კლასიკურ რითმებს მარტივად ენაცვლება ვერლიბრი და ეს უკანასკნელი სჭარბობს კიდევ. ხშირად ლექსების სტროფების ნაწილი დაწერილია მკაცრად გართმული ფორმით და შემდეგ იმდენად ბუნებრივად ერწყმის ვერლიბრი, რთულია გარჩევა. მისთვის ჩვეული ხერხია პოეტურ ნაწარმოებებში ტირეს გამოყენება, რითაც თითქოს ცვლის დეკორაციას, სივრცეს. უკრაინული სიტყვები ხშირად ინგლისურს ერითმება, იქმნება საოცარი ბგერითი ეფექტი. ასევე ოსტატურად იყენებს ბგერწერასაც.

უაღრესად საინტერესოა ვასილ მახნოს ლექსი „თბილისში“, რომელიც დაიწერა 2019 წელს, თბილისში მოგზაურობის შემდეგ და რომელიც წარმოადგენს პოეტის თვალთ დასახულ ძველი თბილისის ფერად და ოდნავ სევდიან სურათს. ლექსი ერთი წვიმიანი თბილისური დილის მოკლე პეიზაჟს აღწერს, ქართულ ენას წვიმისა და მტკვრის ენას

უწოდებს, თუთის ხეს შორიდან ეფერება, ვიწრო ქუჩებს მოტკბო ღვინოს ადარებს. მიუხედავად იმისა, რომ ლექსის ტაეპები არათანაზომიერია და მარცვალთა რაოდენობა არათანაბარი, მასში პოეტისთვის ჩვეული ბგერწერა, საოცარი მუსიკალურობა და ფერთა გამაა გაშლილი.

რუსუდან ნიშნიანიძე

იაკობ გოგებაშვილი - ლიტერატურული პერსონაჟი (როსტომ ჩხეიძის ტექსტების „იის სურნელი თოვლში“ და „ეკლიანი და პატარა გზა“ მიხედვით)

როსტომ ჩხეიძეს ეკუთვნის ბიოგრაფიული რომანი „ბურჯი ეროვნებისა“, რომელიც იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხება. ეს დიდტანიანი ლიტერატურული ტექსტი დეტალურად წარმოაჩენს არა მხოლოდ ამ გამორჩეული, უდიდესი მოღვაწის მიერ განვლილ გზას, არამედ იმ ეპოქასაც, რომელშიც მას უხდებოდა საქმიანობა. მწერლის სხვა ნაწარმოებებში იაკობ გოგებაშვილი ხან მთავარი პერსონაჟია, ხანაც ავტორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სათქმელის გამომხატველი. ამჯერად, განვიხილავ პიესას „იის სურნელი თოვლში“ და მეორეს - „დეტექტიური ცდა“ „ეკლიანი და პატარა გზა“.

პიესაში „იის სურნელი თოვლში“, რომელშიც მთავარი პერსონაჟი იაკობ გოგებაშვილი გახლავთ, ჟანრული კანონების მიხედვით ყველაფერი ზუსტადაა გათვალისწინებული: მოქმედი გმირები, მუსიკა, განათება და ისიც, გარკვეულ შემთხვევებში მოქმედების პარალელურად, რას უნდა ხედავდეს მაყურებელი სცენის სიღრმეში. ე.წ. „დრამატული კონფლიქტი“ „დედა ენა“-ს პირველ სიტყვას უკავშირდება. დიდ პედაგოგს შედგენილი კრებული მთლიანად დაუსრულებია, მაგრამ დასაწყისისათვის ვერ მიუგნია. ზოგადად ასე ხდება: რჩევას ყველას არ ეკითხებიან; მხოლოდ იმას, ვისაც ენდობიან და ვის სიტყვასაც პატივს სცემენ. ზოგადად, ასეა. ვფიქრობ, როსტომ ჩხეიძემ ძალიან ზუსტ კონტექსტს მიაგნო. მნიშვნელოვანია, ვის ეთათბირება გოგებაშვილი: ეპისკოპოს გაბრიელს - რელიგიური ხედვა, ილია ჭავჭავაძეს - XIX საუკუნის შემოქმედი და დარო მამაცაშვილს - ლამაზი ტრფობა.

რწმენა, საქმე და სიყვარული - დიდი საქმე მხოლოდ ამ ერთობლიობით კეთდება. რასაკვირველია, უკვდავი „აი ია“ მხოლოდ გოგებაშვილის სიბრძნის, გონიერების და ესთეტიკის ნიმუშია. ამასთან, როსტომ ჩხეიძისათვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ დარბაზში შეკრებილი ასობით მაყურებლისთვის არა მხოლოდ შემოქმედებითი პროცესი გახადოს საცნაური, არამედ 21-ე საუკუნის ქართველს ის უმნიშვნელოვანესი წიგნები შეახსენოს და ვეებერთელა საქმიანობის პერიპეტიები წარმოუდგინოს, რომელსაც იაკობ გოგებაშვილის სახელი ჰქვია. პიესა ვფიქრობ, ფრიად აქტუალურია და რეჟისორებისთვის საინტერესო სპექტაკლად ქცევის სურვილს გააჩენს.

„ეკლიანი და პატარა გზა“. სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რატომ აქვს მინაწერი: „დეტექტიური ცდა“. არც ეს წიგნია „დეტექტივი“ და მით უფრო არც „ცდა“. მიმაჩნია, რომ XX საუკუნის ბოლოს დაწერილი ეს წიგნი აღადგენს XX საუკუნის დასაწყისის ეპოქას. როსტომ ჩხეიძის წიგნში პოლიტიკური ქვეტექსტებიც ბლომდაა, უფრო ზუსტი იქნებოდა მეთქვა - მამულიშვილური. მხატვრული თვალსაზრისით ტექსტს კიდევ უფრო დიდი ფუნქცია აქვს: საუკუნის შემდეგ კიდევ ერთხელ შეაშფოთოს მკითხველი. აქ არაა შიშველი პუბლიცისტიკა,

ზუსტად და კარგად მოფიქრებული მხატვრული ქარგა სხვადასხვა სოციალური ფენის, განათლების, წოდების ადამიანს ეპოქის დახატვის დიდ შესაძლებლობას აძლევს.

როსტომ ჩხეიძე ლიტერატურულ ტექსტებში სათქმელის ვრცელ თვალსაწიერს, საუკუნის შეცნობას ცდილობს და იმ პირების მხატვრულ პორტრეტებს ხატავს, რომელთაც ეპოქა შექმნეს. იაკობ გოგებაშვილი - XIX საუკუნის თანამონაწილეა, თანაც - ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი.

სალომე ოშიაძე

„უვიცობის შემცირება“ – იაკობ გოგებაშვილის

შემოქმედების ქვაკუთხედი

იაკობ გოგებაშვილი თავის მრავალფეროვან შემოქმედებაში ცოდნის კონცეპტის ობიექტივაციისათვის სხვადასხვა ხერხს მიმართავს. მათგან ყველაზე ძლიერი ზემოქმედების მქონეა უცოდინარობით გამოწვეული უარყოფითი მოვლენების დემონსტრირება, რაც თავისთავად ბადებს „უვიცობის შემცირების“ სურვილსა თუ აუცილებლობას. დასახელებული ხერხი გასდევს როგორც მის პედაგოგიკურ დისკურსს, ასევე მხატვრულ ნაწარმოებებს. განსაკუთრებით საინტერესოა აღნიშნული გზით შექმნილი ის მიკროკონტექსტები, რომლებიც იაკობ გოგებაშვილის ეთნოგრაფიულ ნაწარმოებთა უმრავლესობის კომპოზიციურ-შინაარსობრივ ერთეულად გვევლინება.

მოხსენებაში ვრცლად ვისაუბრებთ დეკლარაციული და კონტრასტული დაპირისპირების ხერხთა მონაცვლეობაზე, უკანასკნელის უპირატესობაზე „უვიცობის შესამცირებლად“. განვიხილავთ იმ კონტექსტებს, რომლებშიც უცოდინარობა ყოველგვარი სიკეთის დამაბრკოლებელი და მრავალგვარი სიავის სათავეა, მცირისაც და დიდისაც, რომლებშიც ყოველი ასეთი მონაკვეთის დასკვნით ნაწილში გამოსავლად სახალხო განათლება სახელდება (მაგალითად, ქართლელების ხასიათისა და ქცევის ცვლილების, კერძოდ, გახშირებულ მკვლელობათა გამო: „მეორე მიზეზი მხეცური მოქმედებისა იყო უკიდურესი უვიცობა. ქართლი სწავლით ყველა სხვა კუთხეებზე უკან არის დარჩენილი... ვისაც არც სარწმუნოება აქვს და არც ცოდნა, ადვილად მხეცდება... უკიდურესად საჭიროა დაუყოვნებლივ გაიხსნას სკოლები ქართლში. მიწა და სკოლა – აი რა არის ქართლელი გლეხებისათვის საჭირო უპირველესად ყოვლისა“; „საზოგადოდ, როცა თუშების ცხოვრებას გაიცნობ, დარწმუნდები, რომ დოვლათი არა კმარა ბედნიერებისათვის, – საჭიროა აგრეთვე განათლება, ურომლისოდ ხალხს არ შეუძლია თავისი ქონება ადამიანურად მოიხმაროს და ლაზათი მისცეს თავის ცხოვრებასა“; „...თავის გულის წადილს [ქალაქელი ჩარჩებისათვის ჩალის ფასად ღვინის მიყიდვის ნაცვლად, თვითონ გაიტანონ შორეულ ქვეყნებში საკუთარი ღვინო] კახელები მხოლოდ მაშინ მოეწევიან და მაშინ გამდიდრდებიან, როცა სკოლებს ბევრგან გახსნიან და სწავლა მოიფინება კახეთში“ და მისთ.).

იაკობ გოგებაშვილის ყოველ ნაწარმოებში (მხატვრულშიც და არამხატვრულშიც) ექსპლიციტურად თუ იმპლიციტურად ცოდნის ძალაა ნაჩვენები, „უვიცობის შემცირება“ კი მისი მდიდარი შემოქმედების ქვაკუთხედი.

XIX საუკუნის ქართული ლექსიკოგრაფია კოტე ყიფიანის ნაშრომთა მაგალითზე

ჩვეულებრივ, ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში განათლების უმაღლესი საფეხური ის ეტაპია ცხოვრებისა, როცა მეცნიერული საკითხებით ხდება დაინტერესება. მართალია, ქართული ლინგვისტური სკოლების ჩამოყალიბება XX საუკუნეს უკავშირდება, მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ ფუნდამენტური კვლევების საფუძველი წინა საუკუნემ შექმნა. სწორედ ამ დროს ქართველთა მცდელობანი, შეედგინათ სხვადასხვა სახის ლექსიკონები, ზოგ შემთხვევაში თვითნასწავლი ლექსიკოგრაფის სპონტანურ სურვილს გამოხატავდა, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ამგვარ ნაშრომებს მაინც დიდი ფასი აქვს. სამეცნიერო ლიტერატურაში სადავო არ არის ის ფაქტი, რომ ლექსიკოგრაფიას ძირითადად პრაქტიკულ-გამოყენებითი ხასიათი აქვს და კონკრეტული ლექსიკონის განსაკუთრებულობა მართებულად სელექცირებულ სალექსიკონო ერთეულების მოძიებითა და სალექსიკონო პრინციპების ასევე მართებული შერჩევით განისაზღვრება. ჩვენს შემთხვევაში საქმე ეხება დიმიტრი ყიფიანის ვაჟის, კოტე ყიფიანის, მიერ შედგენილ ლექსიკონებს, რომელთა ნაწილი დღემდე არ არის გამოცემული და რომლებიც ხელნაწერების სახით თბილისში განთავსებულ კინოსა და თეატრის მუზეუმში ინახება. ამ უკანასკნელთა რიცხვს განეკუთვნება „ბოტანიკური ლექსიკონი“ (ანუ „ქართულ-რუსულ-ლათინური საბოტანიკო ლექსიკონი“) და „აკადემიური ლექსიკონი“.

ფრანგული და რუსული ენების საუკეთესო მცოდნე კოტე ყიფიანი კარგად აცნობიერებდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ქვეყნის ჩამორჩენილობას ამ თვალსაზრისით. ერთი მხრივ, მისი მიზანი კონკრეტული დარგების განვითარებისაკენ მიემართებოდა, ხოლო, მეორე მხრივ – ქართული ენის სიწმინდისაკენ, რადგან რუსული განათლების მქონე ქართველთა მეტყველება ბარბარიზმებს ვეღარ იტევდა. ურთულესია, სპეციალური ლინგვისტური ცოდნის არმქონე ადამიანმა ფაქტობრივ უშეცდომო თარგმანება შესთავაზო მკითხველს, ამიტომაც, როგორც ივ. გომართელი წერს: კოტე ყიფიანი კითხულობდა „ბიბლიას“, ცალ-ცალკე ქაღალდზე წერდა თითოეულ მისთვის უცნობ რუსულ სიტყვას, შემდგომ მის შესაფერის ქართულ ერთეულს ეძებდა და ამგვარი რუდუნებით ქმნიდა თავის ლექსიკონებს; მაგალითად, ცნობილია, რომ კოტე ყიფიანმა თხუთმეტი წელი მოანდომა „აკადემიურ ლექსიკონზე“ მუშაობას.

ერთადერთი ნაშრომი, რომელსაც დღის სინათლე ხვდა წილად, „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ იყო [1896]. ეს თარგმნითი ხასიათის ლექსიკონი უაღრესად საინტერესო ერთეულებს მოიცავს მინერალოგიის, ასტრონომიისა და ზოოლოგიის მეცნიერებების მიმართულებით. მოძიებული მასალის თემატური განლაგებით ის მნიშვნელოვნად განსხვავდება სულხან-საბას „სიტყვის კონისაგან“ და ამ განსხვავებას ნაშრომთა მიზნობრიობა უდევს საფუძვლად. „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ ქართულ ენობრივ სივრცეში კონკრეტული დარგების განვითარების საფუძველი უნდა გამხდარიყო, მშობლიურ ენაზე კი მართებული ლექსიკური ერთეულების გამოყენების საშუალებას კ. ყიფიანის მიერ შედგენილი ლექსიკონები იძლეოდა. ქართული მეცნიერების მომავლის სწორი ჭვრეტა და ამ კუთხით მიზანმიმართული მუშაობა, ვფიქრობთ, რომ ახასიათებს მას არა მხოლოდ, როგორც ქართული

ლექსიკოგრაფიის განვითარების ერთი საფეხურის შემოქმედს, არამედ – როგორც პრინციპულ და საღად მოაზროვნე საზოგადო მოღვაწეს.

თეა სუმბაძე

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია სიმონ ჩიქოვანის რეცეფციით

სიმონ ჩიქოვანი ლიტერატურათმცოდნეთა ყურადღებას იმსახურებს არამხოლოდ როგორც უახლესი ქართული პოეზიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა, არამედ როგორც მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ძალზე საინტერესო მკვლევარიც. სიმონ ჩიქოვანის, როგორც ესეისტის ინტერესის სფეროში მოქცეულია ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას შემოქმედების თავისებურებანი. განსაკუთრებით ფასეულად მიგვაჩნია ს. ჩიქოვანის დაკვირვებები უდიდესი ქართველი რომანტიკოსის - ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაზე.

ს. ჩიქოვანის თვალთ დაწახული ბარათაშვილი გამოკვეთილად ევროპული ორიენტაციის პოეტია, რომელიც ერთ-ერთი პირველი გაემიჯნა აღმოსავლურ პოეტიკას და რომანტიზმი ქართულ სინამდვილეში უმაღლეს საფეხურზე აიყვანა.

ბარათაშვილის პოეზიის ნოვატორულ მხარედ მიაჩნია სიმონ ჩიქოვანს ლექსში ინტონაციური მხარის გამდიდრება და სიტყვაკაზმულ მწერლობაში თავისებური მონუმენტურობის დამკვიდრება.

საყურადღებოა სიმონ ჩიქოვანის დაკვირვებები ბარათაშვილის ლექსის კომპოზიციურ მხარეზე. მისი აზრით, ბარათაშვილის ლექსები გამოირჩევა მყარი, შეკრული კომპოზიციით. ლექსის არც ერთი ცალკე თვისება, ხატოვანება, მუსიკალობა თუ ინტონაცია განცალკევებულად არ წარმოიდგინება.

სიმონ ჩიქოვანი ბარათაშვილის სატრფიალო ლირიკის საკუთარ დიფერენცირებას გვთავაზობს. იგი ორ ჯგუფად ყოფს მის ლირიკას. პირველ თემატურ რკალს მიაკუთვნებს უშუალო შთაბეჭდილებებით გამოწვეულ ლექსებს, ხოლო მეორე რკალს - იმ ლექსებს, რომლებშიც გრძნობა უფრო ღრმად გააზრებული და პოეტურ ფიქრთან შეწყვილებულია.

სიმონ ჩიქოვანის ვრცელ წერილში ერთ სპეციალურ საკითხად შეიძლება გამოიყოს ბარათაშვილის ძველ ქართულ მწერლობასთან, განსაკუთრებით - „ვეფხისტყაოსანთან“ მიმართების საკითხი. კრიტიკოსი ფიქრობს, რომ „მერანის“ ერთ-ერთი ინტერტექსტი სწორედ „ვეფხისტყაოსანია“. ჩიქოვანის დაკვირვებით, „ჩინარის“ და მრავალი სხვა ლექსის სიტყვიერი მასალა ბარათაშვილს რუსთაველისა და შავთელის მიერ დამკვიდრებული მნიშვნელობით უხმარია, ამ სიტყვებისადმი მინიჭებული ადრინდელი იერი და შინაარსი განუახლებია.

ს. ჩიქოვანის აზრით, ბარათაშვილის ნოვატორული მოღვაწეობა ქართული პოეზიის წიაღში სამი მიმართულებით გაიშალა. ერთი მხრივ, ბარათაშვილი გამოკვეთილად ევროპული კულტურულ-ლიტერატურული ორიენტაციის პოეტია, მეორე მხრივ, მან მიმართა ძველი ქართული მწერლობის ტრადიციებს, მესამე მხრივ, კი ხალხური სიტყვიერების საუნჯითაც ისარგებლა.

მკვლევარი ახერხებს წარმოაჩინოს რომანტიკოსი პოეტის შემოქმედების ნოვატორული არსი და ბარათაშვილის პოეტიკის არაერთი საკვანძო დეტალი.

ნესტან ღამბაშიძე

ლიბერალური იდეოლოგიის წარმოშობა და ქალთა ემანსიპაციის საკითხი XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ინტენსიურად დაიწყო ქალთა საკითხის აქტუალიზაცია და ქალის სოციალურ-კულტურული როლის ზრდაზე ზრუნვა ქართულ საზოგადოებაში. ეს გამოიხატა არა მხოლოდ წერილობითი თუ ზეპირი განცხადებებით, არამედ თანდათან პრაქტიკულ მოქმედებაშიც გადაიზარდა. ფაქტია, რომ, როგორც კი პირველი პერიოდული გამოცემა დაარსდა, ქართველი ქალების თხოვრებების ბეჭდვაც დაიწყო. ეს იყო ჟურნალი „ცისკარი“, რომლის ფურცლებზეც ორი ქალის – დარია ერისთავისა და ელისაბედ წერეთლის – თითო-თითო ლექსი გამოქვეყნდა. შემდეგ ათწლეულებში, 1870-იანი წლიდან, სულ უფრო მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი გახდა ლიტერატურის სფეროში მოღვაწე ქართველი ქალების გალერეა.

პოლემიკით მიმდინარეობდა ქალთა უფლებების აქტუალიზაციის საკითხი იმდროინდელ ევროპულ ქვეყნებში. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ისტორიულად, ევროპის ქვეყნებთან შედარებით, ქალი საქართველოში მეტად თუ არა, ნაკლებად არ იყო დაფასებული, თუმცა მაინც საჭირო გახდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქალთა ემანსიპაციის ირგვლივ მსჯელობა და კამათი. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ქალები მარტონი არ ყოფილან ქალთა უფლებებისთვის ბრძოლაში, მათ არაერთი გულშემმატკივარი ჰყავდათ – 60-იანელთა თაობა ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ნიკო ინაშვილი – ეს ის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების მოკლე ჩამონათვალია, რომელთა წერილებშიც აისახა ქალთა უფლებების დაცვის საკითხი. აკაკი წერეთელი თავის წერილში „თამარ მეფე“ ვრცლად და ისტორიულ ჭრილში განიხილავს ქალის როლსა და დანიშნულებას. ქალთა განათლების, მამაკაცთან უფლობრივი თანასწორობის საკითხი, ასევე გამამხნევებელი მოწოდებები და ფრაზები ჩანს ნიკო ნიკოლაძის და ნიკო ინაშვილისა წერილებში. რა თქმა უნდა, ეს ერთგვარ მუხტსა და ენერგიას აძლევდა ისტორიულად საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე აქტიურად ჩართულ არცთუ ისე სუსტ ქართველ ქალს. იწყებოდა ბრძოლა ღირსების დაბრუნებისთვის, თავის დამკვიდრებისა და თავისუფლებისთვის.

თამარ შარაბიძე

აკაკის პუბლიცისტური სატირის ზოგიერთი ნიმუშის ანალიზი

მე-19 საუკუნის ქართული სატირისა და იუმორის სპეციფიკის უკეთ გასაგებად აუცილებელია გავითვალისწინოთ მათი გამოვლინების ჟანრობრივი ნაირსახეობები (პოეზია, პროზა და პუბლიცისტიკა); ამისათვის კი სასურველია თითოეული მწერლის შემოქმედებაში ჟანრობრივი თავისებურებების გათვალისწინებით მოხდეს სატირული პლასტის შესწავლა და ერთიანი სურათის ჩამოყალიბება. საჭიროა აგრეთვე თითოეული მწერლის შემოქმედებაში სატირის თემატიკისა და ხერხების გამოწვლილვითი შესწავლა და ანალიზი, განსაზღვრა

იმისა, თუ რა განაპირობებს ამა თუ იმ მხატვრული ხერხის სატირული ფუნქციით გამოყენებას. ამჯერად საკვლევ ობიექტად აკაკის პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები ავიღეთ.

ჩვენი დაკვირვებით, აკაკის სატირული მხატვრული შემოქმედებისა და სატირული პუბლიცისტური წერილების თემატიკა პრინციპულად არ განირჩევა ერთმანეთისგან, ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს საზოგადოებრივ სატირასთან, რომელიც ხანდახან პიროვნულ სატირაში გადადის. საერთო თემატიკას განაპირობებს ის ფაქტი, რომ აკაკის როგორც პუბლიცისტურ წერილებს, ასევე მხატვრული შემოქმედების ნაწილს საპოლემიკო ხასიათი აქვს. მის ასეთი ტიპის ლექსებსა და მოთხრობებს რეალური ფაქტები უდევს საფუძვლად და გამიზნულია მოვლენის ან კონკრეტული პიროვნების დასაცინად. აკაკის სჩვევია ერთისა და იმავე თემის როგორც გალექსვა, ასევე – პროზად თქმა, რაზეც თუნდაც ერთნაირი სათაურები მიგვანიშნებს. პუბლიცისტიკაში მეორდება მისი მხატვრული შემოქმედების თემატიკა, მაგრამ მას განსხვავებული ფუნქციური დატვირთვა ენიჭება. პუბლიცისტურ წერილებშიც იგივე სატირული ხერხები გვხვდება, მათ შორის – ფუნქციურ-სტილისტური ომონიმია (ერთი სიტყვის ან ფრაზის დაყოფა-დანაწევრება სტილისტური მიზნით). მხატვრულ შემოქმედებაში ამ ხერხს სატირულ-იუმორისტული დატვირთვა ნაკლებად აქვს, პუბლიცისტიკაში კი სწორედ ამ პრინციპზეა აგებული; მაგალითად, „აქციონერებს“ მწერალი განმარტავს როგორც ორფუმიან სიტყვას – „აქციონ“ და „ერები“, რითაც მას „ერთა დაქცევის“ მნიშვნელობას ანიჭებს. პუბლიცისტიკაზე დაყრდნობით მოხსენებაში შემოგვაქვს ლიტერატურათმცოდნეობითი ცნება – ავტორისეული სატირის ხერხი. მას მივაკუთვნებთ ტროპის იმ სახეებს, რომლებიც სატირული მიზნით არის გამოყენებული და ამავე დროს „ავტორისეულია“, აკაკის მიერ შექმნილი და მხოლოდ მის მიერ ხმარებული.

მოხსენებაში განვასხვავებთ აკაკის კრიტიკულ წერილებს სატირული პუბლიცისტურისაგან. აღვნიშნავთ, რომ კრიტიკულ წერილებშიც გამოურევს მწერალი სატირას, თუმცა არგუმენტირებული დასაბუთება არ აძლევს საშუალებას სტატია სატირულად აქციოს, პუბლიცისტიკაში კი ის მეტად თავისუფალია და მის სატირულ ნიჭს ფართო გასაქანი ეძლევა.

სოფიო ჩხატარაშვილი

იაკობ გოგებაშვილი უკრაინულ კულტურულ კონტექსტში

ქართულ-უკრაინულ კულტურათა დიალოგში ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი კუთვნილ ადგილს დამსახურებულად იკავებენ ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში. მათ შორის საყურადღებო და მეტად საგულისხმოა იაკობ გოგებაშვილის როლის განსაზღვრა ქართულ-უკრაინულ კულტურათა დიალოგში.

ჩვენთვის, ქართველთათვის, პრინციპულად მნიშვნელოვანია იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა და ცოდნა, რამეთუ შეუფასებელია მისი როლი ქართული კულტურისა და განათლების, ზოგადად, ერის ისტორიაში. რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, უკრაინელთათვის, მათი ლიტერატურისა და კულტურისათვის, ამ კულტურის ინტეგრირების საკითხში, მრავლისმეტყველი აღმოჩნდა ქართველი კლასიკოსის პიროვნული და შემოქმედებითი მიდგომები უკრაინულ კულტურასთან დაკავშირებით.

ცნობილია, რომ იაკობ გოგებაშვილი სწავლობდა (1861-1863) კიევის სასულიერო აკადემიაში, ლექციებს ესწრებოდა კიევის უნივერსიტეტში; მისი პედაგოგიური მოძღვრებანი ანგარიშგასაწევი აღმოჩნდა უკრაინელი კოლეგებისათვის. ამასთანავე, მათთვის უმნიშვნელოვანესია, რომ სწორედ იაკობ გოგებაშვილი გახლდათ ერთ-ერთი პირველი, ვინც ყურადღება მიაქცია ტარას შევჩენკოს, უკრაინის საამაყო შვილისა და შემდგომში სულიერი მამის შემოქმედებას, და მოუწოდა ქართველ რედაქტორებს მისი ნაწარმოებების თარგმნისა და დაბეჭდვისაკენ.

აღსანიშნავია, რომ ქართველი და უკრაინელი მკვლევრები: ალექსანდრე მუშკუდიანი, ოთარ ბაქანიძე, ლუდმილა გრიციკი, ოლექსა სინიჩენკო ქართულ-უკრაინული ლიტერატურული კომპარატივისტიკის კონტექსტში წარმოაჩენენ იაკობ გოგებაშვილის პიროვნების მნიშვნელობას ქართულ-უკრაინულ ურთიერთობებში. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, საკითხი კვლავ საჭიროებს შესწავლასა და კვლევას.

იაკობ გოგებაშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში შემონახულია ეპისტოლური ხასიათის ნაწილი, რომელშიც უკრაინელი ადრესანტებიც ფიგურირებენ. მისი არქივი ინახავს წერილებს, რომლებიც გაგზავნილია/მიღებულია კიევიდან, დაწერილია კიევში ყოფნის პერიოდში.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ იაკობ გოგებაშვილის ცხოვრება კიევში, თავისთავად იყო ქართული კულტურის აღქმისა და პროპაგანდის გარანტი იმ პერიოდის უკრაინულ ლიტერატურულ-კულტურულ სივრცეში.

მაგდა ჭიქაბერიძე

იაკობ გოგებაშვილი სოფრომ მაგლობლიშვილის მოგონებებში

სოფრომ მაგლობლიშვილმა დაგვიტოვა შესანიშნავი მოგონებები ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა შესახებ. მემუარისტი მათ პირადად იცნობდა და ზოგიერთთან სამსახურებრივი საქმიანობაც აკავშირებდა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მოგონება, რომელიც სოფრომ მაგლობლიშვილმა იაკობ გოგებაშვილს უძღვნა. ის დაიბეჭდა გაზეთ „ლომისში“ (N 28) 1923 წელს.

თავდაპირველად მემუარისტი იაკობ გოგებაშვილს წარმოგვიდგენს, როგორც 1860-იანი წლების ერთ-ერთ უპირველეს მოღვაწეს. შემდეგ მოკლედ გვაცნობს მის ცხოვრებას, ბიოგრაფიას.

მემუარისტს იაკობ გოგებაშვილის უდიდეს დამსახურებად ის მიაჩნია, რომ მან როზგი და მოსწავლეების ყველანაირი ცემა-ტყეპა აკრძალა. სემინარიის მოსწავლეები დიდ პედაგოგთან ხშირად იკრიბებოდნენ. მას მოჰქონდა ახალი წიგნები, აცნობდა მოსწავლეებს, რაც მათზე დიდ ზემოქმედებას ახდენდა. სწორედ იაკობ გოგებაშვილის შთაგონებით დააარსეს მოწაფეებმა ხელნაწერი ჟურნალი „შრომა“. სემინარიაში რამდენიმე მწერალიც გაიზარდა: იონა მეუნარგია, ნიკო ლომოური, სოფრომ მაგლობლიშვილი, იოსებ ბაქრაძე, გიორგი უთურგაული.

ბოლოს მთავრობამ შეიტყო იაკობისა და ქართველ მასწავლებელთა საქმიანობის შესახებ და მათი დევნა დაიწყო. ისინი სამსახურიდან დაითხოვეს. მაშინ იაკობ გოგებაშვილი უფრო მუყაითად შეუდგა სახელმძღვანელოების შედგენას. სოფრომ მაგლობლიშვილის სიტყვით,

იგი „ნამდვილი დარაჯი იყო ქართული ახლად დაწყებული საქმისა. თუ ვინმე გადაეღობებოდა ამ დაწყებულ საქმეს, იგი უპასუხოდ არ გაუშვებდა, რუსულს ჟურნალ-გაზეთებში აძლევდა პასუხსა „ვარიანელის“ ფსევდონიმით“ (მგალობლიშვილი 1938:190). მან „ძალიან გაცოცხა“ დავით კეზელი, რომელმაც რამდენჯერმე გაილაშქა მისი სახელმძღვანელოების წინააღმდეგ.

ზოგი ფიქრობდა, რომ იაკობ გოგებაშვილი გოროზი კაცი იყო. ამას ისინი ამბობდნენ, ვინც მას კარგად არ იცნობდა. სეირნობის დროს დიდმა პედაგოგმა თავადერებული სიარული იცოდა და ამაყი შეხედულება ჰქონდა. სინამდვილეში, იაკობი უბრალო კაცი იყო, სუფრაზე შექცევა და ლხინი უყვარდა. მწერალი იხსენებს, თუ როგორ ისტუმრა სურამში მყოფმა იაკობ გოგებაშვილმა დიდი აკაკი, არისტო ქუთათელაძე, სოფრომ მგალობლიშვილი და ივანე მაჩაბელი, როგორ გულითადად გაუმასპინძლა მათ მშვენიერ ჭალაში, როგორ მოილხინეს, იმღერეს. სიმღერას იაკობ გოგებაშვილი იწყებდა, სხვები მოძახილსა და ბანს ეუბნებოდნენ; ღვინისაგან ცოტათი შეხურებულნი, სამშობლოს დახსნას წინასწარმეტყველებდნენ რუსეთის მონარქიის ბრწყალებიდან.

მემუარისტი საგანგებოდ საუბრობს იაკობ გოგებაშვილზე, როგორც დიდ ქველმოქმედზე. მან ძმისშვილ-დისშვილებს თავისი ხარჯით ასწავლა; ძმისა და დის სიძეებსაც არ ივიწყებდა და, რაც მთავარია, გაჭირვებულ ქართველ სტუდენტებს ეხმარებოდა. ასევე, 1910 წელს იაკობ გოგებაშვილი გამოესარჩლა და დახმარების ხელი გაუწოდა გასაჭირში მყოფ სოფრომ მგალობლიშვილს, როდესაც იგი სამსახურის გარეშე დარჩა.

სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებები იმ მხრივ არის განსაკუთრებით საყურადღებო, რომ მასში დაწვრილებით არის აღწერილი დიდი მოღვაწის ხასიათის თვისებები, მისი ცხოვრების საინტერესო ეპიზოდები, რაც დიდ ინტერესს იწვევს მკითხველში.

ნინო ჭოლაძე

იაკობ გოგებაშვილის დამოკიდებულება არაქართულენოვანი მოსახლეობის მიმართ

იაკობ გოგებაშვილი, არა მარტო დიდი პედაგოგი, ჰუმანისტური იდეების გამტარებელი და ქართული პედაგოგიური მეცნიერების ფუძემდებელი იყო, არამედ მას, ილიასთან და აკაკისთან ერთად, ამავე დროს, მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში. მისი მახვილგონივრული პუბლიცისტური სტატიები, რომლებშიც ჩანდა მისი შეხედულებები და პოლიტიკური მრწამსი, აღიზიანებდა ზოგიერთ მკვლევარს. ისინი არ აღიარებდნენ მისი პოლიტიკური აზროვნების დიდ უნარს, მეტიც, ებრძოდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ ამ სასიკადაულო მამულიშვილს.

„პირად ცხოვრებაში ხათრიანი, მოკრძალებული იაკობი ღომად იქცეოდა, უშიშარი ხდებოდა, და ყოველგვარ კომპრომისს უარყოფდა ხოლმე, თუ დაინახავდა, რომ დღის წესრიგში იდგა მისი საყვარელი სამშობლოს და ქართველი ხალხის ინტერესები“ (კ. ტოტოჩავა).

იაკობს ჰქონდა გარკვეული პოლიტიკური გეგმა, რომელიც ეფუძნებოდა რეალობასა და ოპტიმიზმს. გოგებაშვილი გმობდა სხვა ერებისა და ეროვნული უმცირესობისადმი სიძულვილის გამოვლენას, ერების უფლებების რაიმე ფორმით შეზღუდვას „მდაბალი

ინსტინქტით შეპყრობილ ადამიანებს, რომლებიც სარგებლობდნენ ეროვნული განსხვავებულობით და შუღლსა და მტრობას სთესდნენ მათ შორის“.

აფხაზეთის მიმართ თავისი დამოკიდებულება მან გამოხატა წერილში „აფხაზეთის შესახებ“ (1907 წ.). „თუ ადრე აფხაზეთში დამწერლობა ქართული იყო და ღვთისამსახურებაც ამავე ენაზე სრულდებოდა, როცა აფხაზებმა მოინდომეს შეედგინათ ანბანი და შეექმნათ დამწერლობა, გოგებაშვილმა ერთ-ერთმა პირველმა დაუჭირა მხარი და მოუწოდა ყოველნაირად დახმარებოდნენ მათ, რასაც გავლენა უნდა მოეხდინა უწინდელი ურთიერთობის განმტკიცებასა და გარეგნული ერთიანობის შინაგანი სოლიდარობით ან ინტენსიური ძმობით შეცვლაზე.

იაკობი აკრიტიკებდა რუსეთის წამქეზებლურ როლს აფხაზეთთან მიმართებით. სტატიაში „უსამართლო ბრალდება“ მას მიაჩნდა, რომ ამავე ვერაგული გეგმის შედეგი იყო ოსების საქმეც. ქართლში მცხოვრები ოსების შესახებ 1910 წელს იგი წერდა: „ისინი გადმოსახლდნენ ჩრდილო ოსეთიდან ნახევარი საუკუნის წინათ და დასახლდნენ აზნაურ მამაცაშვილის მიწაზე, როგორც მოიჯარადეები“. მისივე თქმით, სოფლებში აგარა და გორი ცხოვრობდა 48 კომლი ოსი, რომლებიც დადიოდნენ ქართულ ეკლესიებში, ლოცულობდნენ ქართულ ენაზე. იაკობი ეხმარებოდა მათ ოსური ენის სწავლის ორგანიზებასა და მეთოდის დახვეწაში.

„გოგებაშვილის პოლიტიკური შეხედულებანი, მისი პრაქტიკული მოღვაწეობა მიზნად ისახავდა არაქართულენოვანი მოსახლეობისადმი საქართველოში დამკვიდრებული კეთილი ტრადიციების განვითარებას“ (კ. ტოტოჩავა).

ი. გოგებაშვილის მოღვაწეობის, მისი პოლიტიკური პუბლიცისტიკის გააზრება თანამედროვეობის კონტექსტში დიდ დახმარებას გაუწევს ქართულ საზოგადოებას მის წინაშე მდგარი ამოცანების გადასაჭრელად.

გიორგი ჯღარკავა

გენდერული თანასწორობა როგორც მულტიკულტურული განათლების მნიშვნელოვანი ფაქტორი – ანდაზები იაკობ გოგებაშვილის „დედაენაში“

თანამედროვე განათლების სისტემაში მულტიკულტურალიზმმა, როგორც წამყვანმა პედაგოგიურმა პარადიგმამ, უპირველეს ყოვლისა უნდა უზრუნველყოს განსხვავებული სქესის, კულტურის, ეთნიკური თუ ენობრივი ჯგუფების თანაბარი ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში. ცხადია, ინტერკულტურული მიდგომა განსაკუთრებით აქტუალურია ისეთ მულტიკულტურულ სახელმწიფოზე საუბრისას, როგორიც საქართველოა. კულტურის ფორმირების მრავალფეროვან წყაროთაგან (როგორებიცაა: ენა, რელიგია, ეთნიკური კუთვნილება, სოციალური სტატუსი, სექსუალური ორიენტაცია და სხვ.) მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია ინტერკულტურული მგრძნობელობის ერთი კონკრეტულ ასპექტზე, რომელიც უახლეს კვლევებში „გენდერული სენსიტიურობის“ სახელითაა ცნობილი. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ გენდერული სტერეოტიპების არსებობა, განსაკუთრებით სასკოლო განათლების სივრცეში, ხელისშემშლელ ფაქტორად გვევლინება, რადგან გენდერული დისბალანსი ეწინააღმდეგება ინტერკულტურული განათლების თეორიებსა და მეთოდებს.

წინამდებარე მოხსენების მიზანია იაკობ გოგებაშვილის „დედაენაში“ მოცემულ ანდაზებზე გენდერული თვალსაზრისით დაკვირვება. ჩვენი მხრიდან უშუალოდ პარემიული ერთეულების მიმართ ინტერესი გამოწვეულია იმით, რომ ამა თუ იმ საზოგადოებაში არსებული გენდერული სტერეოტიპების რეპრეზენტაციის მნიშვნელოვან საშუალებად შეიძლება სწორედ ანდაზები მივიჩნიოთ. მათში მოცემულია საზოგადოებაში ჩამოყალიბებული შეხედულებათა სისტემა, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტული კულტურის ძირითად ბირთვს. კვლევამ აჩვენა, რომ იაკობ გოგებაშვილის მრავალმხრივ საყურადღებო „დედაენა“ და მასში თავმოყრილი ანდაზები მულტიკულტურული განათლების პერსპექტივიდანაც საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს. ჩვენი დაკვირვებით, მაგ., 2020 წელს გამოცემული „დედაენის“ I ნაწილში არსებული 32 ანდაზიდან ყველა მათგანი გენდერულად ნეიტრალურია. ერთადერთი ანდაზის შემთხვევაში შეიძლება შევიტანოთ ეჭვი მამრობითი სქესის დომინანტურ როლზე – „მმაო ძმითა ხარ ძლიერი“ (გვ., 36), თუმცა აქაც უნდა ვიგულისხმოთ, რომ „მმა“ ამ კონკრეტულ ანდაზში მამრობითი სქესის წარმომადგენელს კი არა, არამედ ზოგადად ადამიანს აღნიშნავს. ზემოთქმულს ამტკიცებს ისიც, რომ სიტყვა „კაცი“, მამაკაცის გარდა, ქართულში ხშირ შემთხვევაში განზოგადებულია და მიემართება ადამიანს (შდრ. ანდაზები: კაცი კაცის წამალია; წინა კაცი უკანა კაცის ხიდია და მისთანანი).